1:1

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 24 აპრილი.

“დინამო” (მინსკი) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (0:1).

მინსკი: ვერგეენკო, კუზნეცოვი, ვორონინი, გორკი, სემიონოვი, კურნევი, ტოლეიკო (სმირნოვი), ლომაკინი, ვასილიევი (პრიბილოვი), მალოფეევი, სახაროვი.

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, გავაშელი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: კ. სმირნოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები - 2:2.

მატჩი დაიწყო თბილისელთა იერიშებით. ჯერ ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა გ. ნოდიას, შემდეგ შორიდან ძლიერად დაარტყა კუტივაძემ. საპასუხო შეტევები ჰქონდათ მასპინძლებსაც და თამაშში ჩარევა უკვე თბილისელთა მეკარეს მოუხდა.

32-ე წუთზე მაჩაიძის მიერ დარტყმული ბურთი ხელიდან გაუვარდა ვერგეენკოს, მას ყველაზე ადრე მოუსწრო გავაშელმა და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

როგორც კი შესვენების შემდეგ თამაში განახლდა, მასპინძლებმა მთელი თავიანთი ძალები შეტევაში გადაისროლეს, მეტოქის კართან ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, რომელთაგან ერთ-ერთი გოლით დაამთავრა კურნევმა - 1:2. ეს მოხდა 57-ე წუთზე.

დარჩენილ დროში თბილისელებს შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ მათი იერიშები უშედეგოდ დამთავრდა და ანგარიშიც არ შეცვლილა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.). “ლელო”, 27 აპრილი, 1971 წ.